

უმადლეხი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ.თბილისი

08.05.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმადლეხი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ-კონსულტაციისა და ტრენინგის აღმასრულებელი დირექტორი;
საბჭოს თავმჯდომარე;

ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ-საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ-ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ბორის ლეუვა - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი;

ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ლაშა მარგიშვილი - განვითარების სამმართველოს უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ქეთი ცოტიაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

ქეთევან ინანაშვილი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

ელენე ვაკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი.



დაწესებულების წარმომადგენლები:

1. ნინო ქაჯაია - შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის წარმომადგენელი;
2. ზურაბ ხელაძე - შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის წარმომადგენელი;
3. ამირან მაზმიშვილი - შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის წარმომადგენელი;
4. სერგო ტეფნაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
5. ქეთევან დავითაია - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
6. გიორგი უნასარიძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
7. ემზარ ბარბაქაძე - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
8. სოფიო მაჭარაშვილი - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის წარმომადგენელი;
9. თემურ წურწუმი - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის წარმომადგენელი;
10. ნონა ჭანტურია - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის წარმომადგენელი;
11. ირმა ლომია - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის წარმომადგენელი;
12. ზაირა ლუდუშაური - შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის წარმომადგენელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):

ეკა ეკალაძე;
თამარ ვალიშვილი;
თამარ გაიხარაშვილი;
თამარ რემიშვილი;
თამარ ჯანგულაშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
ელენე გვენცაძე;
დავით კუპატაძე;
ნინო ჯოჯუა;
მერი ერისთავი;
პეტრე ბაბილუა.



თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:20 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანების დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა ლევან მადათოვმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, რომ 2015 წლის 6 მაისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გადადებული შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად. საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი.



1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს დაწესებულებაში ვიზიტად მყოფმა ავტორიზაციის ექსპერტებმა, ნინო ჯოჯუამ, მერი ერისთავმა და პეტრე ბაბილუამ.

დაწესებულების წარმომადგენლის, სოფიო მაჭარაშვილის, თქმით დაწესებულება 1992 წლიდან ფუნქციონირებდა წარმატებით, ამჟამად საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსით, აქედან გამომდინარე გაჩნდა სურვილი აღედგინათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. მან ასევე აღნიშნა, რომ უკვე მეორედ იყო დაწესებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებელი. პირველ ჯერზე ავტორიზაცია ვერ მოიპოვა, თუმცა შემდგომ ყველა შენიშვნა რის გამოც საბჭომ დაწესებულებას ავტორიზაციის მინიჭებაზე უარი უთხრა, გამოსწორებულ იქნა, კერძოდ, სტუდენტთა ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსი და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული შენიშვნა. ასევე გამოსწორდა დაკვანაში დაფიქსირებული ისეთი ხარვეზები რომელსაც დაწესებულება არ ეთანხმებოდა, მაგალითად, რომ გამათბობელი იყო ძველი.


ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ ჯგუფის დასკვნიდან საბჭოს გააცნო საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი:

საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აკადემიური ხარისხი ენიჭება 240 კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 15 ECTS - ზოგადი სავალდებულო კურსები;
- 10 ECTS - ზოგადი არჩევითი კურსები;
- 20 ECTS - უცხოური ენები (ინგლისური/გერმანული);
- 70 ECTS - მიმართულების სავალდებულო კურსები;
- 105 ECTS - დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსები (მათ შორის 10 ECTS - პრაქტიკა, 10 ECTS - საბაკალავრო ნაშრომი);
- 20 ECTS - არჩევითი კურსები.

არჩევითი კურსების სახით შეთავაზებული კრედიტების რაოდენობა აღემატება პროგრამით მოთხოვნილ კრედიტების რაოდენობას (ორი არჩევითი სასწავლო კურსიდან სტუდენტი ირჩევს სემესტრში ერთ სასწავლო კურსს) პროგრამას თან ერთვის მასში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები.

 4

საბაკალავრო პროგრამაში 20 ECTS კრედიტი გათვალისწინებულია - უცხოური ენების (ინგლისური/გერმანული) შესწავლაზე. ეს 20 კრედიტი (ოთხი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი) განაწილებულია უცხოური ენის B1.1, B1.2, B2.1, B2.2 (დარგობრივი) დონეების შესასწავლად. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით კურსდამთავრებული „ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე“. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უცხოური ენის გარკვეული დონის ცოდნა არ აქვს მითითებული, მაგრამ შემუშავებული აქვს უცხოური ენის საწყისი დონის შესწავლისთვის შესაბამისი დონის სილაბუსები. თუმცა, პროგრამიდან არ ირკვევა რომელ ბლოკში, რომელი კრედიტების ხარჯზე შესთავაზებს სტუდენტებს უცხოური ენის დაწყებითი დონეების სასწავლო კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლისას გამოჩნდა შეუსაბამობები წინაპირობებთან და საათების განაწილებასთან დაკავშირებით პროგრამასა და სილაბუსებში.

სასწავლო კურსების მმართველობითი აღრიცხვის და ფინანსების მენეჯმენტის წინაპირობა იყო ფინანსური აღრიცხვა, თუმცა ასეთი სასწავლო კურსი საგანმანათლებლო პროგრამით არ შეისწავლება. ბიზნეს ადმინისტრირების სავალდებულო კურსის საერთაშორისო ბიზნესის წინაპირობა იყო არჩევითი კურსი მსოფლიო ეკონომიკა; პრაქტიკის (რომელიც სასწავლო გეგმით VII სემესტრშია გათვალისწინებული) წინაპირობა იყო „საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული (დარგის/სპეციალობის) I-VII სემესტრის დისციპლინების გავლა“ და VII სემესტრში დარგის/სპეციალობის სამი სავალდებულო კურსია ასევე გათვალისწინებული და შესაბამისად, VII სემესტრში პრაქტიკის გავლა შეუძლებელია. საბაკალავრო ნაშრომის (რომელიც სასწავლო გეგმით VIII სემესტრშია გათვალისწინებული) წინაპირობაა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული (დარგის/სპეციალობის) დისციპლინების გავლა, მაშინ როდესაც VIII სემესტრში შეისწავლება დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსები რისკ მენეჯმენტი და რეგიონული მენეჯმენტი, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტები VIII სემესტრში ვერ გაივლიან, რადგან წინაპირობა არ იქნება დაკმაყოფილებული. სასწავლო კურსებს მიკროეკონომიკას და მაკროეკონომიკას შესწავლის წინაპირობები არ ჰქონდა (საგანმანათლებლო პროგრამაში შეისწავლება ეკონომიკის პრინციპები). ეკონომიკის პრინციპების სწავლის შედეგია „ცოდნა და გაცნობიერება. „იცის . . . საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებები, ბაზრის სტრუქტურა, მოთხოვნა-მიწოდება, წონასწორობა, ფასები, ბაზრის ორგანიზაციის ფორმები, გარკვეულია ...ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში, ...“. აღნიშნული სწავლის შედეგები წარმოადგენს საფუძველს მიკრო, მაკროეკონომიკის შესწავლისა. და თუ აღნიშნული სასწავლო კურსი არ არის მიკრო, და მაკროეკონომიკის წინაპირობა, მაშინ ადგილი აქვს სასწავლო კურსების გადაფარვას.

კურიკულუმში 5 კრედიტიანი სასწავლო კურსების (ეკონომიკის პრინციპები და ტურიზმის საფუძველები) საათების ჯამი 120 საათი იყო, მითითებული 125 საათის ნაცვლად, მიკროეკონომიკის კი 127სთ; სასწავლო კურსებში (სოციოლოგიის საფუძველები, საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი, მენეჯმენტის ფსიქოლოგია და სხვ) უზუსტობები იყო საათების გადანაწილებაში პროგრამის სტრუქტურაში, სილაბუსის სასწავლო კურსის ფორმატის და ECTS გრაფებსა და შინაარსში მითითებულ ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობაზე განსაზღვრულ საათებს შორის.

პროგრამის სტრუქტურაში სამივე ზემოთ ჩამოთვლილი კურსის საათების ჯამური რაოდენობა გასწორებულია, რაც შეხება ტექნიკურ უზუსტობას საათების გადანაწილებაში სოციოლოგიის საფუძველების, მენეჯმენტის ფსიქოლოგია, ცივილიზაციის ისტორია, საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი სილაბუსებში, აღნიშნული უზუსტობა გასწორდა კურიკულუმში, სილაბუსის კრედიტების გრაფაში, მაგრამ სილაბუსის სასწავლო კურსის ფორმატში დარჩა ძველი საათების განაწილება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ თვლიდნენ საჭიროდ, მაკრო ეკონომიკის პრერეკვიზიტად მიუთითეს მიკროეკონომიკა, მიკრო ეკონომიკის წინაპირობად „მაინც“ გაითვალისწინეს და განსაზღვრეს ეკონომიკის პრინციპები (აღსანიშნავია, რომ ინტერვიუზე ექსპერტებმა მხოლოდ კითხვა დავსვით როგორც ამ, ასევე სხვა კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით). ასევე გაასწორეს არარსებული სასწავლო კურსის და არჩევითი კურსის წინაპირობად განსაზღვრის პრობლემა.

ყველა სასწავლო კურსისთვის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში კონსულტაცია (2 საათი) მიკუთვნებულია საკონტაქტო საათებს. კონსულტაციები არ წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვას (საქმიანობას), რომელზეც ნაწილდება სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების საკონტაქტო საათები, რადგან ეს არ შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-2 მუხლის პირველ პუნქტს.

საგანმანათლებლო პროგრამის და შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის სასწავლო პროცესის (აკადემიური განათლების) მარეგულირებელი დებულების მიხედვით „შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში“. სილაბუსებში მოყვანილია ინფორმაცია შეფასების კომპონენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. განსაზღვრულია თუ როგორ ნაწილდება სასწავლო კურსის ჯამური შეფასების 100 ქულა შეფასების კომპონენტებზე, მოცემულია კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები და მათი მაქსიმალური ქულები. პრეზენტაციის და უმეტეს სილაბუსებში შუალედური გამოცდის შეფასებები ჩაშლილია ქულობრივად, თუმცა სილაბუსებში არ არის ჩაშლილი ქულებით აქტიურობის და დასკვნითი გამოცდის შეფასებები. მაგალითად:

„პრაქტიკული მეცადინეობა - 24 ქულა (max)

შეფასების მეთოდი: გამოკითხვისას განსახილველი თემის ცოდნის შემთხვევაში სტუდენტს ეწერება (max) „3“ ქულა, არცოდნისას - „0“ ქულა. განსახილველ თემასთან დაკავშირებულ განხილვებში/დისკუსიაში/დებატებში 8-ჯერ მონაწილეობისთვის სტუდენტს ეწერება 24 ქულა(max).“ (მაკროეკონომიკა, ეკონომიკის პრინციპები და სხვ.) ამ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმებიც კი არ არის განსაზღვრული.

ზოგ სილაბუსში მოცემულია კრიტერიუმები და მათი შეფასების მაქსიმალური ქულები, მაგრამ არ არის მოცემული ქულათა გრადაცია. მაგ:

„სემესტრული აქტიურობა

სამუშაო ჯგუფში მუშაობაში აქტივობა - დებატები, დისკუსიები

1 აქტივობა 0-4 ქულა, სულ 5 აქტივობა (თითოეული სტუდენტი სემესტრში გამოიკითხება 5-ჯერ).

კრიტერიუმები - მოსმენილი სალექციო საკითხების ცოდნის დონე - 1 ქულა, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე- 1 ქულა, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი- 1 ქულა, დისკუსიის უნარი- 1 ქულა“ (ფინანსური მენეჯმენტი, საერთაშორისო მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, პროექტების მართვა და სხვ.)

აქ მოცემულია თითოეული კრიტერიუმის შეფასების მაქსიმალური ქულა, მაგრამ არ არის რუბრიკა გაკეთებული და არ ჩანს რა კრიტერიუმის მიხედვით იწერება შუალედური

 6

შეფასება. აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ თითოეულ ამ კრიტერიუმში არ იწერება მხოლოდ 1 ან 0 ქულა, ცოდნის დონის მიხედვით სტუდენტი ფასდება 1-დან 0-მდე ქულებითაც. თუმცა არც ერთი სილაბუსი არ იძლევა ამ ინფორმაციას.

საერთაშორისო ბიზნესი -

„სემესტრული აქტიურობა/სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, წერიტი და ზეპირი საშინაო დავალებები და სხვ. კრიტერიუმები - მოსმენილი სალექციო საკითხების ცოდნის დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, დისკუსიის უნარი, წერიტი მეტყველების კულტურა/ 0-10 ქულა“.

ამ სილაბუსში არ არის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სილაბუსის ფორმაში მოთხოვნილი კურსის შეფასების 100 ქულის შეფასების კომპონენტებზე გადანაწილების მაჩვენებელი ცხრილი (რომლითაც ჩანს რამდენი ქულა მოდის აქტიურობაზე, რამდენი შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე). სხვა შეფასების კომპონენტების ქულების გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ 10 ქულა სემესტრული შეფასებაა. მოყვანილი რუბრიკით არ ჩანს რამდენჯერ ფასდება აქტიურობაში (რომელიც ჩანაწერის მიხედვით მოიცავს სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრეზენტაცია, წერიტი და ზეპირი საშინაო დავალებები და სხვ.) სტუდენტი, და რა შეფასებას იღებს იგი ერთ აქტიურობაში, არ არის მოცემული როგორ ფასდება სტუდენტი კრიტერიუმების მიხედვით და არ არის ჩაშლილი ქულები.

შუალედური შეფასების ქულობრივ გადანაწილებაში ერთიდაიგივე ქულა ორ კრიტერიუმს ეკუთვნის მაგ:(ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტის ფსიქოლოგია, ფინანსური მენეჯმენტი, საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი და ა.შ)

„16-20 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული...“

12-16 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, ტერმინოლოგიურად გამართულია...“

8-12 ქულა: პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული...“

გაურკვეველია 16, 12, 8, 3 ქულა რომელ შეფასებას ეკუთვნის.

ცალკეული სასწავლო კურსების კომუნიკაციის სწავლის შედეგში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს „ვერბალური და წერიტი კომუნიკაცია უცხო ენაზე დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით“ (მენეჯმენტის ფსიქოლოგია, საერთაშორისო ბიზნესი, მმართველობითი აღრიცხვა და ა.შ.) „შეუძლია ინფორმაციის ზეპირი წარდგენა ქართულ და უცხოურ ენებზე“ ან „შეუძლია ...ვერბალური და წერიტი კომუნიკაცია უცხო ენაზე დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით“ (მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.). სილაბუსიდან ვერ ირკვევა როგორ გადის აღნიშნულ სწავლის შედეგზე სტუდენტი, როგორ ფასდება აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის დონე. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურაც მხოლოდ ქართულ ენაზეა. ინტერვიურებისას პედაგოგებს დავუსვით ეს შეკითხვა და მათი აზრით მართალია, სასწავლო კურსი იკითხება ქართულ ენაზე, მაგრამ რადგან სტუდენტები პროგრამით სწავლობენ უცხოურ ენას, ამ შედეგზე გასვლას შესძლებენ. კანონით უმაღლესი განათლების შესახებ „სწავლის შედეგები – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარებია“; აღნიშნული სწავლის შედეგი შესაძლოა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი, მაგრამ არა წარმოდგენილი სილაბუსებით განხორციელებული სასწავლო კურსებისა.

პროგრამის სწავლის შედეგებში, კომუნიკაციის უნარში, დასამატებელია გერმანული ენის ცოდნა.

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით კურსდამთავრებულს ეცოდინება ინგლისური ენა B2 დონეზე. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს აძლევს უცხო ენის არჩევანის თავისუფლებას (ინგლისური და გერმანული) და გერმანული ენის არჩევის შემთხვევაში სტუდენტის სწავლის შედეგი ვერ იქნება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.

შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის სასწავლო პროცესის (აკადემიური განათლების) მარეგულირებელი დებულებით რეგულირდება შიდა და გარე მობილობის პროცესიც. დებულების 9.2.პუნქტის მიხედვით „კოლეჯის სტუდენტის შიდა მობილობა შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების მეორე სემესტრიდან“, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, აღნიშნული ბრძანების მე-4-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მიხედვით „მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ“.

სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა ხორციელდებოდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და აკადემიური პერსონალის ერთობლივი მუშაობით, რაც დასტურდება უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ბიზნესის ფაკულტეტის სხდომის ოქმებით. აღნიშნული კითხვარები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში არ გამოუყენებიათ. მათ გამოყენებას გეგმავენ სასწავლო პროცესის განხორციელების დროს.

ინტერვიუზე ექსპერტმა აზრობდა, რომ რეკომენდირებული საბაკალავრო პროგრამის შეფასების ფორმისა და კრიტერიუმებისა და სილაბუსის შეფასების ფორმის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პერიოდში, რადგან მათ, თავისი შინაარსით და ფუნქციით, სწორედ პროგრამის შემუშავების პროცესში შეუძლიათ დიდი სამსახურის გაწევა. ექსპერტების თვალსაზრისით მათი გამოყენება დაწესებულებას თავიდან აარიდებდა პროგრამასთან და სილაბუსებთან დაკავშირებულ ნაკლოვანებათა მნიშვნელოვან ნაწილს და მოახდენდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის დემონსტრირება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, ეთანხმებოდნენ თუ არა აღნიშნულ ხარვეზებს, აზრს მათ გამაცხადეს, რომ არ ეთანხმებოდნენ. მათი თქმით, ავტორიზაციის თავდაპირველ ექსპერტთა ჯგუფს ავტორიზაციის სტანდარტის პროგრამულ ნაწილში ხარვეზი არ გამოუვლენია, ამჟამინდელმა ექსპერტთა ჯგუფმა კი პირადი შეხედულებების მიხედვით დაადგინა ხარვეზები, რაც მათი თქმით მიუღებელი იყო და არაერთგვაროვან მიდგომაზე მეტყველებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მათთან დისკუსიაში არ შევიდოდა, რადგან მიმდინარეობდა არა წინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განხილვა არამედ ბოლო. ხარვეზები პირველ რიგში უნდა აღმოეჩინა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ შეეძლო არ აღენიშნა, რომ პროგრამები გადამოწმებული იყო ცენტრის მიერ დატრენინგებული ექსპერტის, მაყვალა დარსანიას მიერ და დაწესებულების წარმომადგენლებმა აღარ ჩათალეს საჭიროდ ხელახლა გადაემოწმებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ექსპერტის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი ხარვეზები ჰქონდა თუ არა პროგრამას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უარი განაცხადა. ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იყო ავტორიზაციის წინა ექსპერტთა ჯგუფსაც ღირსეულად ემუშავა და ახლანდელსაც, რადგან ყველა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსხვავებული დასკვნა დაიწერა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა მადლობა გადაუხადა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ დასკვნის პირველ ნაწილში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება ჰქონდათ და უმეტესობას არ აღიარებდნენ. პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამაში მითითებული იყო უცხო ენის ცოდნა B1 საწყისი და სტუდენტი გადიოდა B2 დონეზე, აღნიშნული ეხებოდა სწავლის შედეგებს. თუმცა სტუდენტები სწავლას იწყებდნენ B1 დონიდან, მას შემდეგ, რაც სტუდენტი გაივლიდა 5-კრედიტიან დისციპლინას, გავიდოდა შედეგზე. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებამ თავი შეიკავა ამ სილაბუსების შეთავაზებაზე და პროგრამაში არ იყო შეტანილი საწყისი დონის სილაბუსები. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ავტორიზაციის შემთხვევაში, გადახედავდნენ, რამდენად აქტუალური იქნებოდა აღნიშნული საკითხი და შემდეგ გადაწყვეტდნენ.


საბჭოს წევრი ბორის ლეჟავა დაინტერესდა, უცხო ენის რა დონით ამთავრებდა სტუდენტი პროგრამას.

საბჭოს წევრი ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, სტუდენტი რომელიც ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარებდა რუსულს ან ფრანგულ ენას, როგორ გავიდოდა ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური უზუსტობა რაც ვიზიტის დროს გასწორდა. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსს „ფინანსური აღრიცხვა“ არც ერთ სასწავლო კურსის წინაპირობდ არ ყოფილა მითითებული, ისწავლებოდა მხოლოდ „ბუღალტრული აღრიცხვა“.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით აღნიშნულ სასწავლო კურსს ორი სახელი ჰქონდა „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „ფინანსური აღრიცხვა“ როდესაც აღრიცხვის ევროპული სტანდარტები შემოვიდა სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა ბუღალტრული აღრიცხვა. ძველი სახელწოდება მექანიკურად იყო დარჩენილი ერთეულ შემთხვევებში, რაც ვიზიტის დროს შესწორდა.

ექსპერტმა დასკვნიდან წაიკითხა ჩანაწერი წინაპირობებთან დაკავშირებით: პრაქტიკის (რომელიც სასწავლო გეგმით VII სემესტრშია გათვალისწინებული) წინაპირობა იყო „საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული (დარგის/სპეციალობის) I-VII სემესტრის დისციპლინების გავლა“ და VII სემესტრში დარგის/სპეციალობის სამი სავალდებულო კურსია ასევე გათვალისწინებული და შესაბამისად, VII სემესტრში პრაქტიკის გავლა შეუძლებელია. საბაკალავრო ნაშრომის (რომელიც სასწავლო გეგმით VIII სემესტრშია გათვალისწინებული) წინაპირობაა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული (დარგის/სპეციალობის) დისციპლინების გავლა, მაშინ როდესაც VIII სემესტრში შეისწავლება დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსები რისკ მენეჯმენტი და რეგიონული მენეჯმენტი, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტები VIII სემესტრში ვერ გაივლიან, რადგან წინაპირობა არ იქნება დაკმაყოფილებული.



დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომით გათვალისწინებული იყო 10 სპეციალობის გავლა მეშვიდე სემესტრში და ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის სილაბუსში დეტალურად იყო გაწერილი თემატიკა რასაც გაივლიდა სტუდენტი პრაქტიკაზე. რაც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომს დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა სავარაუდო საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა, რომელიც ბრძანებით იყო დამტკიცებული და აღნიშნული ორი სასწავლო კურსის თემატიკა იქ არ შედიოდა. დოკუმენტის ასლი წარუდგინეს საბჭოს.

დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია, მიკრო და მაკრო ეკონომიკის სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებულ ხარვეზთან დაკავშირებით იყო, რომ საგნების წინაპირობების განსაზღვრა წარმოადგენდა აკრედიტაციის საკითხს. როდესაც აღნიშნეს, რომ ხარვეზი გაასწორეს, გაასწორეს არა იმიტომ, რომ ეთანხმებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ მათი ბედის განმსაზღვრელები და ამიტომ. მისი თქმით, თავიანთი პოზიციის დასამტკიცებლად სამი არგუმენტი ჰქონდათ, აღნიშნული საგნები იყო ეკონომიკის პრინციპების თემატიკის სწავლება. როდესაც სტუდენტი მოვიდოდა პროგრამაზე თავდაპირველად გაივლიდა იოლ საკითხებს და შემდგომ რთულს.


საბჭოს წევრი, ბორის ლეჟავა დაინტერესდა, თვლიდნენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები, რომ ეკონომიკის პრინციპების სწავლა აუცილებელი იყო. რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მისი აზრით არ იყო აუცილებელი, თუმცა არაფერს არ უშლიდა ხელს.

ბორის ლეჟავა დაინტერესდა ერთსა და იმავე კომპეტენციებს უვითარებდა თუ არა ორივე სასწავლო კურსი. რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ერთ შემთხვევაში მარტივად იყო განმარტებული, მეორე შემთხვევაში - რთულად. მეორე არგუმენტი იყო ის, რომ იყო რამოდენიმე ავტორიზებული უნივერსიტეტი რომელთაც არ ეწერათ აღნიშნული წინაპირობები და მიუხედავად ამისა მიიღეს ავტორიზაცია. მესამე ის იყო, რომ პირველ ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ ჰქონია. მისი თქმით არასწორია როდესაც ექსპერტთა ორ ჯგუფს ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს, ამ შემთხვევაში დაწესებულება გაურკვეველ მდგომარეობაშია. მოცემულ შემთხვევაში ხარვეზი გაასწორეს თუმცა, მისი თქმით, ეს არ ნიშნავდა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტებს.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ თუ არ იზიარებდნენ ექსპერტთა მოსაზრებას არ უნდა გაესწორებინათ არაფერი და დაესაბუთებინათ მოსაზრება, ფორმალურად გასწორება გაცილებით მიუღებელი იყო, ამიტომ მოუწოდა უფრო სერიოზულად ეფიქრათ მოცემულ საკითხზე.

საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებულ შენიშვნას არ დაეთანხმნენ დაწესებულების წარმომადგენლები, რადგან კონსულტაციები სასწავლო მასალის შეჯამების ხასიათს აატარებდა და არა ინდივიდუალურ კონსულტაციების, რაც ფასდებოდა ისე, როგორც ყველა სხვა აქტივობა. გაუგებარი აღმოჩნდა, რატომ არ შეიძლებოდა სასემინარო მუშაობისთვის დაერქვათ კონსულტაცია, მით უმეტეს, რომ აპრობირებული იყო ბევრ უნივერსიტეტში.

ექსპერტ - ნინო ჯოჯუას თქმით კონსულტაციას იღებს ის, ვინც საჭიროებს და თუ დაწესებულება თვლიდა, რომ ეს სასემინარო მუშაობა იყო, შესაბამისი მითითება უნდა გაკეთებულიყო, რომ შეცდომაში არ შესულიყო არც სტუდენტი და არც ექსპერტი.



10

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სად ჰქონდათ განმარტებული კონსულტაციის მნიშვნელობა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსად არ იყო განმარტებული, მათ ასე მიაჩნდათ. გამოცდის წინ ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო იყო, და არა ინდივიდუალურად.

ბორის ლეჟავამ დაწესებულების წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა წინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით აპელირება შეეწყვიტათ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასების სისტემა იყო მრავალკომპონენტური და კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, რაც შეეხებოდა ქულათა ჩაშლას მათი თქმით არაფერი არ ირღვეოდა, შალედური შეფასების ქულების აგდაფარვას სხვადასხვა შეფასებაში არ ყოფილა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ მობილობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთი წლის შემდეგ მობილობით სარგებლობა ეხებოდა მხოლოდ გარე მობილობის მსურველებს, ხოლო შიდა მობილობის პირველი სემესტრის დახურვის შემდგომაც იყო შესაძლებელი და ყველა უნივერსიტეტში ასე იყო. შიდა მობილობა გულისხმობდა დაწესებულების შიგნით, ერთი პროგრამიდან მეორე პროგრამაზე გადასვლას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას მხოლოდ ერთი პროგრამა ჰქონდა რეგულაცია მაინც შეიქმნა, სამომავლოდ.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული ნაწილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან საბჭოს ასევე ნინო ჯოჯუამ გააცნო.

2.მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1. დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი N 81.21.00.018 სადაც ერთ მისამართზე აქვს 1008.28 კვ.მ. N 1-სასწავლო კორპუსი-სასწავლო ფართი 769.83 კვ.მ და დამხმარე ფართი 238.45კვ.მ. მესაკუთრე არის შპს უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირი, რომელსაც ფართი გადმოეცა შპს ორიენტირისაგან და შპს ორიენტირი არის შპს უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირის დამფუძნებელი. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ შპს უმაღლესი სასწავლებლის ქონებაზე რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება „პროკრედიტ ბანკი“-ს იპოთეკა 2013 წლის 30 სექტემბერს. ადმინისტრაციის წევრების განმარტებით იპოთეკა იყო დადებული შპს ორიენტირის მიერ აღებულ სესხზე, რაც შემდეგ უკვე ქონებასთან ერთად და ვალდებულებთან ერთად გადმოეცა შპს უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირს. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სესხის დაფარვის ამონაწერი, სადაც არანაირი გადაცდენები და ვალდებულების შეუსრულებლობა არ ვლინდება. ასევე რეესტრის ამონაწერით ვლინდება, რომ მიწის ფართი 10 კვ.მ. ვადა 2016 წლის 1 სექტემბრამდე გაცემულია იჯარით. ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს საფრთხეს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფილია პანდუსებით და სველი წერილები ადაპტირებულია.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახეა კოლეჯი. დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული არაა სამეცნიერო კვლევების დაფინანსება, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულებას დაფიქსირებული აქვს, რომ „დაწესებულება ყოველწლიურად გამოყოფს თანხებს სამეცნიერო მიმართულებების დასაფინანსებლად“. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ არ აქვთ დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსება.



დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით თვითშეფასების ანგარიშში ტექნიკურად იყო გაპარული სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული ჩანაწერი, რეალურად ბიუჯეტით მსგავსი რამ გათალისწინებული არ ყოფილა.

დაწესებულებაში შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (2014-2020წწ) და ერთწლიანი (2014-2015 და 2015-2016წწ) სტრატეგიული განვითარების გეგმები. დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი გეგმა ატვირთულია ვებ გვერდზე.

დასახული მიზნების მისაღწევად დაწესებულების განვითარების გრძელვადიან გეგმაში ყველა ჩამოწერილი აქტივობა 2014/2015 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში ყოველ წელს ხორციელდება. მაგ. 2015 წლიდან ყოველ წელს დაგეგმილია სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბება, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის გაღრმავება დაგეგმილია 2014 წლიდან, მაშინ როდესაც თავად სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია 2014 წლის 22 სექტემბერს აკადემიური საბჭოს მიერ, ამ დროს დაწესებულებას ავტორიზაცია ჯერ არ აქვს მიღებული და შესაბამისად, 2014 წელს მას კურსდამთავრებული (პროფესიული სტუდენტიც კი) ვერანაირად ვერ ეყოლება.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი გეგმის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებსა და მიზნებში პირველ პუნქტად წერია „მომავალი თაობების აღზრდა ქართული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით“. გეგმაში ეს საკითხი გაშლილი არ იყო და ვერც ინტერვიუების საფუძველზე ვერ დავადგინდა როგორ მიიღწეოდა აღნიშნული.

ამავე გეგმის მე-2 სტრატეგიული მიმართულებაა - კავშირების გაფართოება, რომლის ერთ-ერთი საკითხია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, თუმცა აღნიშნული საკითხი არ არის ნახსენები 6 წლიან სამოქმედო გეგმაში და არ არსებობს შესაბამისი სამსახური.

ერთწლიან სტრატეგიულ გეგმებში (2014-2015 და 2015 -2016) არ ხდება გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმით წლების მიხედვით გაწერილი აქტივობების სრულად გათვალისწინება: მაგ. ახალი სახელფასო პოლიტიკის დანერგვა; სტუდენტების, აკადემიური და დამხმარე პერსონალის კომპიუტერული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ფინანსური და ბუღალტრული სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა; სწავლების ხარისხის ამაღლება (რა ნაბიჯების ან ქვემიზნებისგან შედგება ეს მიზანი, განმარტებული არ არის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში).

სტრატეგიული გეგმების გაცნობის და დაწესებულების წარმომადგენლებთან (რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) ინტერვიუს შედეგად, რომელზეც განხილული იყო საკითხები დაწესებულების სტრატეგიასთან მიმართულებით, გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ ცალკეულ მუხლებთან (ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით გასატარებელ პრიორიტეტულ ნაბიჯებთან და აკადემიური პერსონალის სახელმძღვანელოების დაბეჭდვა) მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფს შეგვექმნა წარმოდგენა, რომ გაცნობიერებული არ აქვთ სტრატეგიული გეგმის მნიშვნელობა დაწესებულების განვითარების საკითხში.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით გეგმები აბსოლუტურ თანხვედრაში იყო. სამოქმედო გეგმაში ასახული იყო ყველა ნაბიჯი რაც ავტორიზაციის მიღებისათვის საჭირო იყო. პირველ ჯერზე დაწესებულებამ ავტორიზაცია ვერ მოიპოვა, თუმცა შემუშავებული იყო სამოქმედო გეგმა. პირველივე ჯერზე რომ მიეღო დაწესებულებას ავტორიზაცია 2015 წელს სტუდენტი უნდა ჰყოლოდა და გეგმის მიხედვით განხორციელდებოდა ყოველივე. გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით იგულისხმებოდა ხელშეწყობა და არა განხორციელება.

პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებით:

ექსპერტმა პეტრე ბაბილუამ ჯგუფის დასკვნიდან საბჭოს გააცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი:

დაწესებულება, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში განახორციელებს შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
3	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	III	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	IV	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	V	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

ყველა პროგრამის სილაბუსში ვლინდება შემდეგი ტიპის უზუსტობანი კერძოდ:

- 1) სტუდენტის მიღწევის შეფასებაში ვკითხულობთ „აქტიურობა-10 ქულა, სულ ფასდება 10 აქტივობა, თითოეული-1 ქულა“, მაგრამ არ იკითხება რა აქტივობა იგულისხმება და რაში იწერება ეს 1 ქულა. ეს გვხვდება სამივე პროგრამის ყველა სილაბუსში.



2) სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებში მაგალითად კრიმინალისტიკის პროგრამა მე-5 საფეხური სტუდენტის მიღწევის შეფასებაში ვკითხულობთ: „პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით, რაც ნაწილდება შემდეგნაირად:

- უსაფრთხოების წესების დაცვა-3
- ტექნიკური საშუალებების აღჭურვილობის გამოყენების წესი-3
- სწორი დასკვნების (შედეგის მიღება)გამოტანა-3
- მიღებული შედეგების გაანალიზება-3
- მიღებული შედეგების სათანადოდ გაფორმება-3“

ხოლო თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი არ არის ჩაშლილი. ეს გვხვდება პრაქტიკის ყველა სილაბუსში.

3) სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებში მაგალითად კრიმინალისტიკის პროგრამა მე-5 საფეხური სტუდენტის მიღწევის შეფასებაში ვკითხულობთ: „დასკვნითი გამოცდა 40 ქულა. მოიცავს პრაქტიკული უნარის დემონსტრირებას და ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. პრაქტიკული უნარების დემონსტრირების შეფასების კრიტერიუმებია:

- 1) პრაქტიკული უნარები და კომპეტენციები-4ქულა
- 2) დაცულია დავალების შესრულების თანმიმდევრობა-4 ქულა

და ა. შ“ სულ ათი კრიტერიუმია ყველა ფასდება მაქსიმუმ 4 ქულით და არ არის დეტალური გაშლა. ეს გვხვდება პრაქტიკის ყველა სილაბუსში.

4) საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში მაგალითად კრიმინალისტიკის პროგრამა მე-5 საფეხური სტუდენტის მიღწევის შეფასებაში ვკითხულობთ: „შუალედური გამოცდის შეფასებაში არის 5 ქულით შეფასებული სავარჯიშო, 5 ქულა- შესრულებული სამუშაო სრულყოფილია, 4 ქულა- დავალება კარგად არის შესრულებული, 2 ქულა-დავალება დამაკმაყოფილებელია, 1 ქულა-დავალება არასრულია, მოცემულია მხოლოდ ფრაგმენტები, 0 ქულა-დავალება არ არის შესრულებული“ ეს არ არის სრულყოფილი ჩაშლა და საჭიროებს უფრო მეტ დაზუსტებას. ეს გვხვდება პრაქტიკის ყველა სილაბუსში.

5) საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში მაგალითად კრიმინალისტიკის პროგრამა მე-5 საფეხური სტუდენტის მიღწევის შეფასებაში ვკითხულობთ: „პრაქტიკის დაცვა/პრეზენტაცია-40 ქულა, შეფასების კომპონენტები: თავფურცელი და რეზიუმე- 5 ქულა (გაფორმებულია შესაბამისად), რეზიუმე სრულად ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს; საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა- 5 ქულა (ქმნის მკაფიო წარმოდგენას საწარმოზე) და ა.შ.“ ვფიქრობთ აქცა ჩასაშლელია ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმები. ეს გვხვდება პრაქტიკის ყველა სილაბუსში.

ვიზიტის დროს მოხდა კრიმინალისტიკის მე-5 საფეხურის პროგრამის ხელმძღვანელთან

ანა ჭილიტაშვილთან და ერთ-ერთ პედაგოგთან ბატონ დავით ჩაგუნავასთან გასაუბრება. მათ წარმოადგინეს თავისი ხედვა პროგრამის განვითარების და სამომავლო გეგმების შესახებ. მათ დაადასტურეს ჩვენს მიერ მითითებული სილაბუსებში არსებული ხარვეზები და აღნიშნეს, რომ გამოასწორებდნენ.

გასაუბრების შემდეგ ექსპერტებს შეექმნათ მათზე შთაბეჭდილება, რომ მათი ხედვა და გამოცდილება იქნება პროგრამის წარმატების ერთ-ერთი წინა პირობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ავტორიზაციის სტანდარტი არ ითხოვდა შეფასების კრიტერიუმების ჩაშლას.

ექსპერტის თქმით სასწავლო პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით ვიზიტის დროს მოხდა კრიმინალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, მან წარმოადგინა ხედვა მომავალი განვითარების შესახებ, დაადასტურა ხარვეზები და აღნიშნა, რომ გამოასწორებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აქტივობაში იქნება 10 ქულა, თუმცა ლექტორი თავად წყვეტს მასში შემავალ კომპონენტებს და ლექტორი თავისუფალია შეფასებაში, არ იზღუდება მისი თავისუფლება.

საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ განაცხადა, რომ სტუდენტმა უნდა იცოდეს რაში რა შეფასებას იღებს.

2. მატერიალური რესურსთან დაკავშირებით:

დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 06/08/2014 საკადასტრო კოდი N 81.21.00.018 სადაც ერთ მისამართზე აქვს 1008.28 კვ. მ. N 1-სასწავლო კორპუსი-სასწავლო ფართი 769.83 კვ.მ და დამხმარე ფართი 238.45 კვ. მ. მესაკუთრე შპს უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირი, რომელსაც გადმოეცა შპს ორიენტირისაგან და შპს ორიენტირი არის შპს უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირი დამფუძნებელი. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ შპს უმაღლესი სასწავლებლის ქონებაზე რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება „პროკრედიტ ბანკი“-ს იპოთეკა 2013 წლის 30 სექტემბერს. აღნიშნული იპოთეკა, როგორც ადმინისტრაციის წევრებმა განმარტეს იპოთეკა იყო დადებული შპს ორიენტირის მიერ აღებულ სესხზე, რაც შემდეგ ქონებასთან და ვალდებულებებთან ერთად გადმოეცა შპს უმაღლესი სასწავლებელი ორიენტირს. ვიზიტის დროს ნანახი იქნა სესხის დაფარვის გრაფიკი საიდანაც გამოჩნდა, რომ არანაირი გადაცდენები და ვალდებულების შეუსრულებლობა არ ყოფილა. ასევე რეესტრის ამონაწერით ვლინდება, რომ მიწის ფართი 10 კვ. მ. ვადა 2016 წლის 1 სექტემბრამდე გაცემულია იჯარით. ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს საფრთხეს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. აღჭურვილი იყო ლაბორატორიებით, კაბინეტებით, ფაქტობრივად 409 სტუდენტზე იყო გათვალისწინებული.

ადამიანური რესურსის ნაწილში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ბორის ლეჟავა დაინტერესდა, რა მიზნები ჰქონდათ და როგორ ხედავდა დაწესებულება 6 წლის შემდეგ საკუთარ თავს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ორგანიზაცია და აკადემიური პერსონალი უფრო მეტად განვითარდებოდა სხვა დაწესებულებებთან და პრაქტიკის ოიექტებთან ურთიერთობებით, დააგროვებდნენ უფრო მეტ გამოცდილებას და შემდეგი სამოქმედო გეგმა უფრო კარგი იქნებოდა.

საბჭოს წევრი ნინო სოზაშვილი დაინტერესდა ახალი და უცხოენოვანი პროგრამების დამატებას თუ აპირებდნენ. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფიქრობდნენ ფარმაცევტისა და ქართული ენის პროგრამის შემუშავებაზე, ასევე



პროფესიულშიც ბიზნესის დარგის განვითარებაზე, ამ სფეროში კვალიფიციური სპეციალისტები ჰყავდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზაირა ლუდუშაურმა აღნიშნა, რომ შემთხვევით არ აურჩევიათ მენეჯმენტის პროგრამა, ამ საკითხს პასუხისმგებლობით უდგებოდნენ. მან საბჭოს წევრებს გადასცა პირველი ქართული „თვითმენეჯმენტის“ სახელმძღვანელო მისი ავტორობით.

ნინო სოზაშვილი დაინტერესდა რატომ უნდა მისულიყო სტუდენტი მათ პროგრამაზე და არა იმ წამყვან უნივერსიტეტებში, რომლებიც ვერ ივსებდნენ ვაკანტურ ადგილებს. რაზეც მან აღნიშნა, რომ მატერიალური ბაზა, ადამიანური რესურსი გამორჩეული იყო, ამასთან, თავად დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ სფეროში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ისინი წყვეტდნენ ისეთი ორგანიზაციის ბედს, რომელსაც 1992 წლიდან არ ჰქონია დავალიანება, არანაირი შენიშვნა. თუ მიეცემოდათ საშუალება საქმიანობის განხორციელებისა დაასაქმებდნენ გამორჩეულ პროფესიონალებს, მათ ასევე მზადყოფნა გამოთქვეს ხარვეზების გამოსასწორებისათვის.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:30 საათზე. სხდომა განახლდა 19:17 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -1

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს უმაღლეს სასწავლებელ ორიენტირს (საიდენტიფიკაციო კოდი 406104727) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ ადამიანური ფაქტორების გამო გადაწყვეტილება რთული მისაღები იყო, რადგან დიდი შრომა იყო ჩადებული, თუმცა საბჭო ემოციებით ვერ იხელმძღვანელებდა და დასკვნაში არსებული ხარვეზები სერიოზული იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო პოლიტიკის ნაწილი და წინა ხელისუფლების დროს ბაზარი მონოპოლიზებული იყო და ამ ხელისუფლების დიდი იმედი ჰქონდათ. მან აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის დროს არ ყოფილა მსგავსი ხარვეზები და გაუგებარი იყო, რომელი გადაწყვეტილება უნდა გაესაჩივრებინა დაწესებულებას.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, თამარ ზაალიშვილმა ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, მან აღნიშნა, რომ ცენტრის მხრიდან სწორი ნაბიჯები გადაიდგა, რათა ობიექტური ყოფილიყო შეფასება - ცენტრის თანამშრომელი არ მონაწილეობდა დასკვნის შედგენაში, თუმცა ახორციელებდა პროცესის მონიტორინგს. თანაც, დაწესებულებაში ექსპერტების სრულიად სხვა ჯგუფი იყო გაშვებული, რაც მეტ ობიექტურობაზე მიუთითებდა. გაიმართა შეხვედრა და განიმარტა რომ მხოლოდ შინაგანი რწმენიდან გამომდინარე მიელო გადაწყვეტილება.

დაწესებულებამ აღნიშნა, თავიდანვე ახლად მოქმედი მთავრობის მხარდამჭერები იყვნენ და ამ გადაწყვეტილებით იმედი გაუცრუვდათ, მათი ფინანსური დანაკარგი 21 000 ლარს შეადგენდა და არ აპირებდნენ ამ გადაწყვეტილებასთან შეგუებას.



2. შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელი, ზურაბ ხელაძე, მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი 1994 წლიდან არსებობდა, მას შემდეგ, რაც ამერიკის მთავრობამ სპეციალური აპარატურით უზრუნველყო. მან განაცხადა, რომ დღესდღეობით ლიდერ ორგანიზაციას წარმოადგენდა და სწორედ ამ დაწესებულების მიერ იყო დაფუძნებული კრიტიკული მედიცინის დარგი საქართველოში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ გადაწყვიტეს სასწავლო დაწესებულების განსნა, რაზეც ზურაბ ხელაძემ უპასუხა, რომ საჭირო იყო ექიმის სტანდარტს დამატებოდა კრიტიკული მედიცინის კუთხით დაგროვილი გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს დარგი სტრატეგიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე იყო, ინვესტიციების მოსაზიდათაც აუცილებელი იყო მისი განვითარება.

თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, წარმოედგინათ დასკვნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ეკალაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო შემუშავებული დასკვნა:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, მისიიდან გამომდინარე, აპირებს განახორციელოს სამკურნალო საქმის (დიპლომირებული მედიკოსის) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა, დაწესებულების მისია შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის მისიას წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ კრიტიკული მედიცინის სფეროში დაგროვებული პრაქტიკული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარება კვალიფიციური ექიმების მომავალი თაობის პროფესიონალებად ჩამოყალიბების, კლინიკურ სწავლაზე დაფუძნებული უწყვეტი სამედიცინო განათლების განხორციელების საქმეში) არ არის შესაბამისობაში წარმოდგენილი პროგრამის მიზანთან და შედეგებთან: მედიცინის მხოლოდ ერთ კონკრეტულ - კრიტიკული მედიცინის - სფეროში დაგროვებული პრაქტიკული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო გამოცდილების გაზიარება ვერ უზრუნველყოფს იმ კომპეტენციების მიღწევას, რომელიც განსაზღვრულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლითა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი.



- დაწესებულებაში არ არსებობს პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია ან სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის დეკანთან, რექტორთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას არ დასტურდება მათი აქტიური მონაწილეობა პროგრამის შექმნისა და შემუშავების პროცესში.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი არ იცნობს მედიცინის დარგობრივ დოკუმენტს, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, შეფასების მოქმედ სისტემას.

სილაბუსებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სახის შენიშვნები:


- სილაბუსების უმეტესობას ქართულენოვანთან (ხშირად მოძველებულთან) ერთად ძირითად ლიტერატურად მითითებული აქვს ინგლისურენოვანი წყარო, ერთ-ერთ სილაბუსს (*გინეკოლოგია-დანართი 1*) - რუსულენოვანი წყარო, ორ სილაბუსს (*სამედიცინო ეკოლოგია და რეპროდუქტოლოგია-დანართი 2*) კი მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ამასთან, არც თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვების და არც პროგრამაზე მიღების წინაპირობად ინგლისური/რუსული ენა განსაზღვრული არ არის; პროგრამაზე კი შეიძლება ჩაირიცხონ პირები, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ სხვა უცხო ენა. ამასთან ერთად, აკადემიური პერსონალის ნაწილთან გასაუბრებისას არ დადასტურდა ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობა. პროგრამით გათვალისწინებულია ინგლისური ენის სწავლება პირველ და მეორე სემესტრში, თუმცა ზემოაღნიშნული პრობლემა პირველივე სემესტრის სილაბუსებშია; ინგლისურის აღნიშნული კურსი (ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2) ვერ უზრუნველყოფს სათანადო დონის ფლობას, რაც აუცილებელია ამ სახის სასწავლო ლიტერატურის ათვისებისათვის.
- მტკიცებითი მედიცინის სილაბუსს (დანართი #3) ძირითად ლიტერატურაში მითითებული აქვს მხოლოდ ერთი წყარო: *თ. ზურაბიშვილი, თვისებრივი მეთოდები სოციოლოგიურ კვლევაში, სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის, თბილისი 2006*, რომელიც კურსის შინაარსს სრულად ვერ ფარავს; თუმცა პედაგოგმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს ელექტრონული სახელმძღვანელო (დასტურდება ფაქტიური არსებობით), რომელიც მექანიკურადაა გამორჩენილი და მოხდება მისი ჩამატება სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებულ სტანდარტს უნდა დამატებოდა კრიტიკული მედიცინის სტანდარტი, რადგან წარმოუდგენელი იყო ექიმს არ შეძლებოდა პირველადი დახმარების გაწევა პაციენტისთვის.

ექსპერტმა, ეკა ეკალაძემ აღნიშნა, რომ კრიტიკული მედიცინა შეტანილი იყო მე-12 სემესტრში და ეთმობოდა 35 საათი, რაც, ექსპერტების აზრით, ვერ უზრუნველყოფდა შედეგის მიღწევას. ექსპერტმა, თამარ გაიხარაშვილმა დაამატა, რომ განსაკუთრებით ეს ეწინააღმდეგებოდა დაწესებულების მისიას, რადგან სწორედ მისიაში იყო გამოკვეთილი კრიტიკული მედიცინის მნიშვნელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მხოლოდ კრიტიკული მედიცინის ცოდნით შეუძლებელი იყო ადამიანის გადარჩენა და სფეროს ამოწურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ, დაწესებულებას მიმართა, პროგრამის შემუშავების ინსტრუქციებთან და აკადემიური პერსონალის ჩართულობასთან



დაკავშირებით გაეკეთებინათ კომენტარი, რადგან ვერ დადასტურდა აკადემიური პერსონალის მონაწილეობა პროგრამის შექმნაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არსებული სამი საგნის სილაბუსში, ავტორის მოთხოვნით, არ იყო მითითებული ქართულენოვანი სახელმძღვანელო. მან დაამატა, რომ ინსტრუქციები უნდა არსებულიყო რათა მის მიხედვით შეედგინათ პროგრამა, ხოლო ასეთი ინსტრუქციები ვერ მოიძიეს.

ექსპერტმა, თამარ გაიხარაშვილმა უპასუხა, რომ არსებობდა ავტორიზაციის სტანდარტები და სტატუსის მოსაპოვებლად, ყველა დაწესებულებას უნდა დაეკმაყოფილებინა ეს სტანდარტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მოალოება იყო ექიმის მომზადება, რასაც სტანდარტი არ აფასებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ დასკვნა დგებოდა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად და თუ, დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, თავად სტანდარტში იყო ხარვეზები, საბჭოს სხდომაზე განსახილველი არ იყო ეს საკითხი.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითი კურსები, წარმოდგენილია ამ კურსების სილაბუსები. თვითშეფასებაში მითითებულია, რომ კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის აკადემიური საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (რეალურად ეს არის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არჩევითი სასწავლო კურსის არჩევს, კონსულტაციის გავლისა და შესაბამის სასწავლო დისციპლინაზე რეგისტრაციის წესების მარეგულირებელ ნორმებს, თუმცა, არც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში და არც სხვა რომელიმე დოკუმენტში ასეთი ტიპის ჩანაწერი არ გვხვდება.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმს განმარტავს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი #10) . აღნიშნულ მუხლში მითითებულია, რომ ინსტიტუტი ვალდებულია დადოს შეთანხმება მსგავსი პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის თაობაზე. ამავე დროს, თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა გათვალისწინებულია დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმით, თუმცა, ფაქტობრივად, აღნიშნული მემორანდუმის არსებობა არ დასტურდება.

დაწესებულების სტრუქტურაში გათვალისწინებულია ხარისხის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის სამსახურის უფროსი. ხარისხის უზრუნველყოფის დებულებაში მუხლი 1 ეხება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მოქმედებას, თუმცა ამ ციკლის (დაგეგმე (Plan=P), განახორციელე (Do=D), შეამოწმე (Check=C), იმოქმედე (Act=A)) პირველი კომპონენტი (დაგეგმე) გათვალისწინებული არ არის და არც ფაქტობრივად დასტურდება.

დებულების მიხედვით, სამსახურის მოვალეობაა შეფასების ინდიკატორების შემუშავება (მუხლი 3) პროგრამის აქტუალობის, გამოყენებული მასალის, სწავლების მეთოდის, შეფასების სისტემის, ადამიანური რესურსის კუთხით. ამავე დროს, მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 იანვრის სხდომის ოქმში პროგრამის განხილვა/დამტკიცებისას აღნიშნულია, რომ ხარისხის სამსახურის უფროსს პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები არ

ჰქონდა, რაც ლოგიკურად გულისხმობს, რომ პროგრამა დამუშავებულია ხარისხის სამსახურის მიერ. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ვერ მოხერხდა ამ ტიპის სამუშაოს წარმოების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამასთან, ხარისხის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში მას წერილობითი დასკვნა არ ჰქონდა მომზადებული და განმარტა, რომ პროგრამის შეფასებისას ის დაეყრდნო საკუთარ პროფესიულ გამოცდილებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არ ფლობს ინფორმაციას იმ ინდიკატორების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ პროგრამის შეფასებისას ან/და პროგრამის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის კითხვაზე, იყო თუ არა პროგრამის დაშვების წინაპირობად განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნა, ვინაიდან სილაბუსების უმეტესობაში ძირითადი ლიტერატურის ნაწილში მითითებული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ხარისხის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნა არ იყო მითითებული იმ არგუმენტით, რომ თუკი სტუდენტს ეცოდინებოდა ლათინური დამწერლობა, ის ადვილად აითვისებს ინგლისურენოვან ლიტერატურასაც.
- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულებაში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები, მულაჟები... ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სერგო დიდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს რამდენიმე მულაჟი, თუმცა შემდგომში საჭირო იქნება მათი დამატებითი შექმნა.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დანართი 8) მიხედვით აღნიშნული სამსახური წელიწადში ორჯერ ჩაატარებს სასწავლო პროგრამის შეფასებას პროგრამაში ჩართული პირების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, განმახორციელებელი პერსონალის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართული სხვა პირების) მიერ, მიღებული შედეგების საფუძველზე კი მოახდენს პროგრამის მოდიფიცირებას. ხარისხის უზრუნველყოფის დებულებას (დანართი 9) თან ახლავს სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, თუმცა, ხარისხის სამსახურის უფროსს დეფიციტური ინფორმაცია აქვს ამ დებულების შინაარსის, პროგრამის/სასწავლო კურსის შეფასების მეთოდების შესახებ. ინტერვიუებისას მან აღნიშნა, რომ იყო ჩართული სილაბუსების შემუშავების პროცესში, თუმცა, იგი არ იცნობს საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედ კანონმდებლობას (კვალიფიკაციათა ჩარჩო, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, სხვ), რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ვერ გამოიყენებს შეფასების სისტემის შედეგებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მექანიკურად იყო არეული ტერმინები და ეს არ ნიშნავდა, რომ კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი ვერ ამზადებდა კვალიფიციურ კადრებს. მან დაამატა, რომ 20 წელია, რაც დაწესებულება ფუნქციონირებდა და პირადი საქმეები რომ არ ჰქონოდათ პერსონალის, ლიცენზირებასაც ვერ მიიღებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ, უპასუხა, რომ საუბარი იყო არა სამედიცინო დაწესებულების საქმიანობის ლიცენზირებაზე, არამედ სასწავლო დაწესებულებაზე, რაც სხვადასხვა იყო.



მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

- დაწესებულებას აქვს სათანადო ინვენტარით (მაგიდები - 32, მათ შორის 5 - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სკამები - 111, მათ შორის 10 - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, დაფები - 3, ვიდეო-პროექტორი - 3) აღჭურვილი სასწავლო ფართი. ექსპერტთა ვიზიტის დროს საბუღალტრო დოკუმენტაციის გადამოწმებით ვერ დადასტურდა 2 დაფის მფლობელობა.
- უნდა აღინიშნოს, რომ ფართი განიხილება მთლიანობაში, არ არის გამიჯნული იგივე სახელწოდებით არსებული სამკურნალო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართები: საბაზისო სასწავლო კურსებისთვის (რაც არ საჭიროებს პაციენტის საწოლთან (პალატა) და სხვა სპეციფიურ სივრცეში -საოპერაციო, შესახვევი, სამანიპულაციო, სადიაგნოზო და ა.შ სტუდენტის ყოფნას) და სამკურნალო მიზნებისთვის განკუთვნილი ტერიტორიები.
- საბაზისო სასწავლო კურსების (ადამიანის ანატომია 1,2,3; ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია 1,2 და სხვ(დანართი #11)) სილაბუსებით განსაზღვრულია სწავლების პროცესში თვალსაჩინოებების გამოყენება (პოსტერები, ატლასები, ჰისტოლოგიური პრეპარატები(მათი ჩვენებისთვის საჭირო მიკროსკოპული ტექნიკა) და სხვ.), თუმცა ამ თვალსაჩინოებების არსებობა არც ფაქტობრივად და არც დოკუმენტურად არ დასტურდება.
- დაწესებულებას აქვს რამდენიმე მულაჟი კლინიკური უნარ-ჩვევების ადრეულ ეტაპზე გამომუშავების მიზნით, თუმცა მათი ფლობის, შექმნის ან ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ იქნა.
- ყველა ზემოაღნიშნულისა და, დამატებით, იმის გათვალისწინებით, რომ, პროფილიდან გამომდინარე, კლინიკა ემსახურება პაციენტების ყველაზე მძიმე კონტიგენტს, საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელება ერთ სივრცეში, სავარაუდოდ, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.
- დაწესებულებას კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი, შპს ჰერა2011, შპს ი.ჟორდანას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სს. თანამედროვე ტექნოლოგიები, შპს ესთერი, შპს იმუნოგენი, შპს ბემონი, ი.ს ნანა კვანტალიანი, ტესტი- ექიმთა სახლი, შპს #5 კლინიკური საავადმყოფო, შპს ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა (ლაბორატორიული დიაგნოსტიკა) (დანართი #10). წარმოდგენილი ხელშეკრულებები ატარებს ზოგად ხასიათს (მათში არ არის განსაზღვრული რა სასწავლო კურსები განხორციელდება ბაზაზე და მაქსიმუმ რამდენი სტუდენტის მიღებაა გათვალისწინებული) და საჭიროებს დეტალების დაზუსტებას.
- დაწესებულება ფაქტიურად ფლობს 24 კომპიუტერს, აქედან 8 - განთავსებულია სასწავლო ოთახებში და საპროფესოროში, 10 - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 2 - ბიბლიოთეკაში. 4 კომპიუტერი ადმინისტრაციის სარგებლობაშია. საბუღალტრო დოკუმენტაციით დასტურდება მხოლოდ 13 კომპიუტერის ფლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტით, მემორანდუმების არსებობა არ იყო სავალდებულო და ვერ გააფორმებდნენ, სანამ სტუდენტი არ ეყოლებოდათ. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ ვერ მიიღებდა დაწესებულება ლიცენზიას, რომ არ ჰქონოდა სათანადო რესურსი.



ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ სამედიცინო და სასწავლო ფართი არ იყო გამიჯნული, რაც ქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ ეს იყო ერთ-ერთი განყოფილება და არა უმაღლესი სასწავლებელი.

საბჭოს წევრი, ბორის ლეჟავა დაინტერესდა, დოკუმენტურად თუ იყო გამიჯნული სასწავლო ფართი სამედიცინო დაწესებულებისგან. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ ვერ დასტურდებოდა ფართის განცალკევება

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

- აკადემიური პერსონალის მიღება უნივერსიტეტში განხორციელდა კონკურსის საფუძველზე, საკონკურსო პირობებში გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა სტუდენტების მომზადებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. არც საკონკურსო პირობებში და არც არჩეულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვრული არ არის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადა. თუმცა, ფაკულტეტის დებულებაში განსაზღვრულია ზოგადად, პროფესორის (რაც გულისხმობს ყველა აკადემიურ თანამდებობას) თანამდებობაზე 6-წლიანი არჩევის ვადა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 35. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები: ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით).
- აკადემიური კონკურსის დებულებაში არ არის განსაზღვრული აპელაციის მექანიზმი.
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ზოგიერთი მათგანი არ ფლობს სრულ ინფორმაციას აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და კონკურსის შედეგად მოპოვებული აკადემიური სტატუსის შესახებ.

დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები დადებული იყო სწავლების ვადით, ექვსი წლით, რაც უზრუნველყოფდა პერსონალის მოტივაციას, ემუშავათ მეტი მონდომებით.

ექსპერტმა, თამარ გაიხარაშვილმა, აღნიშნა, რომ საუბარი იყო პროფესორების არჩევაზე და კანონს არ შეესაბამებოდა ასისტენტ-პროფესორთან დადებული ხელშეკრულების პირობები

საბჭოს სხდომაზე 20:18 საათზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 20:23 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხი.

- კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5



გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმალესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211327161) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ყველა სტანდარტში ჰქონდა არსებითი ხარვეზები და სერიოზული მუშაობა იყო საჭირო ამ პრობლემების გამოსასწორებლად.

დაწესებულების რექტორი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა გადაწყვეტილების გასაჩივრება და ექსპერტების შერჩევა.

განვითარების სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტების შერჩევა ხდებოდა დარგობრივი კვალიფიკაციების გათვალისწინებით და ამოწმებდნენ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტები არ იყვნენ კრიტიკული მედიცინის სპეციალისტები და სახეზე იყო ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ყველა ექსპერტი უკვე ავტორიზებული დაწესებულებების წარმომადგენელი იყო.



3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ რემიშვილმა წარადგინა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 10 საბაკალავრო (მათ შორის 2 ინგლისურენოვანი), 6 სამაგისტრო და 2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს დაწესებულება ახორციელებდა ორ საბაკალავრო პროგრამას ინგლისურ ენაზე. ეს პროგრამები იყო: საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი) და საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია. პროგრამები და სილაბუსები შედგენილი იყო ინგლისურ ენაზე. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი წარუდგინა. სილაბუსების ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო.

ექსპერტმა დასკვნაზე დაყდრნობით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტის მომენტისთვის საბაკალავრო პროგრამებზე სწავლობდა ჩვიდმეტი უცხოელი სტუდენტი. ავტორიზაციის ვიზიტის დროს, უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების უფლების თაობაზე ავტორიზაციის ან აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება. ექსპერტის თქმით, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ არც 2013 და არც 2014 წლების თვითშეფასების წლიური ანგარიშებში არ იყო ასახული ან დამატებული ზემოთ აღნიშნული უცხოენოვანი პროგრამები და საკითხი არც საბჭოზე განხილულა.

ექსპერტის ცნობით, რექტორის მოადგილემ გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ უნივერსიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმოწერას აწარმოებდა და აღნიშნული პროგრამების განხორციელების თაობაზე თანხმობა ჰქონდა მიღებული (დანართი 8,9 - 2013 წლის 25 თებერვლის N68537 წერილი; 2015 წლის 14 იანვრის და 22 წლის წერილები). 2015 წლის 22 იანვრის წერილის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თანახმა იყო შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განეხორციელებინა პროგრამები „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)“ და „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“. ამას გარდა წერილში აღნიშნული იყო: „გთხოვთ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედ რეგულაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და სხვა გათვალისწინებული პროცედურებისათვის, მიმართოთ სსიპ განათლების ხარისხის

 25

განვითარების ეროვნულ ცენტრს“. ვიზიტის დროს, პირისპირ გასაუბრებისას, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ დამატებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს ოფიციალურად (წერილობით) ცენტრისათვის აღარ მიუმართავს, თუმცა გაიარეს სიტყვიერი (სატელეფონო) კონსულტაცია. მას განუმარტეს, რომ სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში ცენტრთან შეთანხმება არ იყო საჭირო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ექსპერტის მიერ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია და დამატებით აღნიშნა, რომ სამინისტროს მხრიდან ნებართვის მიღების შემდეგ აღნიშნული პროგრამები იდენტურად მიიჩნიეს და მათ განსახილველად წარმოდგენამდე თარგმნეს.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა ხანთაძე დაინტერესდა, აღნიშნულთან დაკავშირებით, იყო თუ არა სახეზე პროცედურული ხარვეზი.


ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ფეტვიანიშვილმა პასუხად აღნიშნა, რომ 2013-2014 წლებში შევსებულ თვითშეფასების კითხვარში მითითებული უნდა ყოფილიყო ინგლისურენოვანი პროგრამების შესახებ, თუმცა მითითება არ გაკეთებულა. პროგრამები იდენტური იყო, გარდა ენების სწავლების კომპონენტისა. აგრეთვე, ინგლისურენოვანი პროგრამის პედაგოგთა ნაწილს არ უდასტურდებოდა ინგლისური ენის ცოდნა შესაბამისი დოკუმენტაციით. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ უმჯობესი იყო დაწესებულებას, თავის დროზე, ცენტრისთვის წერილობით მიემართა, რის საფუძველზეც დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს ცენტრთან კომუნიკაციასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნა, რომ პრობლემის წარმოშობაში ბრალი დაწესებულებას არ მიუძღოდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რატომ არ იყო მითითებული თვითშეფასების ანგარიშში ინგლისურენოვანი პროგრამების არსებობის შესახებ. წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამები აბსოლუტურად იდენტური იყო შედეგების, კვალიფიკაციების და პერსონალის თვალსაზრისით და ყველა სტუდენტი კანონის სრული დაცვით გახლდათ ჩარიცხული, რა მიზეზთა გამოც დაწესებულებამ იდენტური პროგრამების შესახებ მითითება საჭიროდ არ ჩათვალა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამების თითქმის ყველა შემთხვევაში შედეგების რუკაში და სილაბუსებში ცოდნა და გაცნობიერება არ იყო მითითებული. მაგალითად, სასწავლო კურსში „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“, „მათემატიკური ანალიზი ინჟინრებისათვის“, „საინჟინრო გრაფიკა“, წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“ და სხვ. მითითებული იყო მხოლოდ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის და სწავლის უნარი; ინგლისური ენის B1 და B2 ან რუსული ენა 1 და 2 სასწავლო კურსები, სადაც მითითებული იყო მხოლოდ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და კომუნიკაციის უნარები, არ იყო გათვალისწინებული ცოდნა და გაცნობიერება.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა განმარტა, რომ მას მხოლოდ სილაბუსების გარკვეული ნაწილის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი და ვინაიდან ძირითადი კურსები რამდენიმე პროგრამისთვის იდენტური იყო, სილაბუსებიც ერთმანეთის ანალოგიური იქნებოდა. აქვე, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ზემოთ ხსენებული დეტალები ავტორიზაციის პროცესში არ წარმოადგენდა განხილვის აუცილებელ საგანს.



ექსპერტის განცხადებით, საბაკალავრო პროგრამებში (ინგლისურენოვანი პროგრამების გარდა) უცხოური ენების მოდული სტუდენტს სთავაზობდა არჩევით ორ უცხოურ ენას ინგლისური ენა B1 ან რუსული 1 (პირველ სემესტრში) და ინგლისური ენა B2 ან რუსული 1 (მეორე სემესტრში). ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს განუმარტა, რომ სამომავლოდ, სტუდენტებისთვის, რომლებიც კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას, რუსული ენა 1 და 2-ის სასწავლო კურსების პირველ და მეორე სემესტრში შეთავაზება იგეგმებოდა, ხოლო თუ სტუდენტი ვერ ფლობდა ენას (ინგლისურს) სათანადო დონეზე, მას სწავლების ინტენსიურ კურსს შესთავაზებდნენ. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ სამომავლო გეგმის დამადასტურებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. გაურკვეველი რჩებოდა, როგორ ხდებოდა იმ სტუდენტების რაჩობა, რომლებიც აბარებენ ეროვნულ გამოცდებზე ფრანგულ ან გერმანულ ენებს.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მესამე და მეოთხე სემესტრებში ყველა სტუდენტი ერთად გააგრძელებდა პროფესიული ინგლისური 1 და 2 სასწავლო კურსების შესწავლას, თუმცა პროფესიული ინგლისური 1-ის წინაპირობა იყო, სტუდენტი ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე. გაურკვეველი იყო, როგორ და სად მოხდებოდა B2 დონის შესაბამისი ცოდნის მიღება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც რუსული ენის კურსს გაივლიდნენ 1-2 სემესტრებში და მოუწევდათ პროფესიული ინგლისურის გაგრძელება მესამე სემესტრიდან. აქედან გამომდინარე აღნიშნული კურსები და მათი თანმიმდევრობა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამაში მითითებული შედეგების მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური ენის მცოდნე ახალ სტუდენტს უტარდებოდა ტესტირება - საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციის მოთხოვნა იყო, რომ სტუდენტი ინგლისურ ენას მაღალ დონეზე ფლობდეს. თუკი გამოცდა გამოავლენდა, რომ სტუდენტი ენას B2 დონეზე ფლობდა ან წარმოადგენდა ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, დაწესებულება სტუდენტს სთავაზობდა მეორე ენის შესწავლას.

საბჭოს წევრი, ბორის ლეჟავა დაინტერესდა, იყო თუ არა ზემოთ აღნიშნული წესი დოკუმენტურად გაწერილი, რაზეც ექსპერტებისგან უარყოფითი პასუხი მიიღო. ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩადებული იყო რუსული ენის კურსების ჩამონათვალი. მესამე სემესტრიდან სტუდენტი დარგობრივი კურსების შესწავლას იწყებდა, რისი წინაპირობაც ენის B2 დონეზე ცოდნა იყო. აღნიშნული დონის მისაღწევად, დაწესებულებაში ექსპერტებს განუმარტეს, რომ სტუდენტებისთვის ინტენსიური კურსი იქნებოდა შეთავაზებული, თუმცა ამის დოკუმენტური დასტური არ არსებობდა.

ექსპერტის ცნობით, საბაკალავრო პროგრამაში „საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)“ წინაპირობაში მითითებული იყო შენიშვნა „ინგლისურ ენაში ერთიანი ეროვნული გამოცდის, მინიმალური დადებითი შედეგი განისაზღვრება 50%+1 ქულით“, თუმცა ეს ინფორმაცია არ იკითხებოდა დაწესებულების არცერთ ნორმატიულ დოკუმენტში და არც ერთიანი ეროვნული გამოცდების საინფორმაციო ცნობარში და, შესაბამისად, აბიტურიენტებისთვის არ იქნებოდა ცნობილი, ამიტომ სადავოა, როგორ მოხდებოდა სტუდენტების შერჩევა და რამდენად შესაძლებელი იქნებოდა შედეგების მიღწევა ინგლისური ენის სასწავლო კურსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციიდან იყო მკაცრი მოთხოვნა აღნიშნულთან დაკავშირებით და სექტემბრიდან მისაღები სტუდენტების ახალი ნაკადისთვის ჩაისმებოდა ინგლისური ენის ინტენსიური კურსი, რომელიც მიზნად დაისახავს სემესტრის ბოლოს სტუდენტების მიერ B2 დონის მიღწევას.

ექსპერტის განმარტებით, უცხოური ენების სასწავლო კურსებში(სილაბუსებში) წარმოდგენილი შეფასების სისტემა რელევანტურად ვერ ჩაითვლებოდა, რადგანაც ამოწმებდა მხოლოდ გრამატიკის ცოდნას, ლექსიკას და ზეპირი კომუნიკაციის უნარებს. არ ჩანდა, როგორ მოწმდებოდა წერიითი და მოსმენის უნარები. მაგ.: რუსული ენა 1 და 2-ის სასწავლო კურსის მიზანში მითითებული იყო B2.2 დონე, თუმცა სახელმძღვანელო ორივე შემთხვევაში (რუსული ენა 1 და 2) ერთი იყო და შეესაბამებოდა A1-A2 დონეს (Начальный этап обучения) და იწყებოდა ანბანის გაცნობით. შესაბამისად შედეგი, რომელიც ორივე სასწავლო კურსში, ფაქტობრივად, იდენტური იყო, მოიცავდა: მსჯელობას, დისკუსიებში მონაწილეობას და მის გარშემო არსებული საკითხების აღწერას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის, ტექსტის მოსმენას, კითხვისა და მისი შინაარსის გადმოცემას და, ამასთანავე, არ შეესაბამებოდა მიზანში მითითებულ მიზნებს, რომლებიც სილაბუსის მიხედვით B2.2. დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

ასევე, გაურკვეველი იყო, როგორ მოწმდება წერის და მოსმენის უნარები (ინგლისურის შემთხვევაშიც), რაც ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია ენის სწავლებაში.

საწარმოო პრაქტიკისთვის განკუთვნილი საათების დიდი რაოდენობა (თითქმის ნახევარი) ეთმობოდა დამოუკიდებელ საათებს, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ზოგადად პრაქტიკის არსთან და დანიშნულებასთან. მაგალითად, პროგრამებში „საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია“ და „საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტი“ საწარმოო პრაქტიკას 18 კრედიტი ეთმობოდა. სულ 504 საათი, საიდანაც 224 საათი დამოუკიდებელი იყო. სასწავლო კურსის შედეგების მიხედვით „სტუდენტი განიმტკიცებს და გაიფართოვებს უნივერსიტეტში მიღებულ თეორიულ ცოდნას საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის საკითხებში“.


დაწესებულების წარმომადგენელმა საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საათების დიდი რაოდენობა პრაქტიკის მნიშვნელოვნებით იყო განპირობებული. 504 საათიდან ნახევარ დროს სტუდენტი ავტონომიურ რეჟიმში იმუშავებდა, გაეცნობოდა დოკუმენტებს, პროცედურებს და მოემზადებოდა საჯარო დაცვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საათობრივი დატვირთვა საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში იყო.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი იყო დასაქმებული საზღვარგარეთ. წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ საფრენოსნო და საინჟინრო მიმართულებით კურსდამთავრებულთა მინიმუმ 10% დუბაიში, ჩინეთში, ინგლისში, გერმანიაში, უკრაინაში და მეზობელ ქვეყნებში იყვნენ დასაქმებულები. საფრენოსნო მიმართულებით 15 სტუდენტი ასრულებდა პროგრამას, ჯამში კი სულ 784 სტუდენტი ირიცხებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსში „პროფესიაზე ორიენტირებული უცხო ენა (ინგლისური)“ კურსის შინაარსი, სახელმძღვანელო და შედეგები არ იყო მიზანთან შესაბამისი. უნივერსიტეტში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში რექტორის N 06/12 23.04. 2015 ბრძანებით სასწავლო კურსში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, რის შედეგადაც ხარვეზი გამოსწორდა. ხარვეზის გამოსწორება დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმაც.

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებში: საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და საფრენი აპარატების დაპროექტება რექტორის N06/12 23.04. 2015 ბრძანებით შევიდა ცვლილებები. კერძოდ, აღნიშნული პროგრამების სასწავლო გეგმებში უზუსტობა იყო



საკონტაქტო საათების დაჯამებისას. ასევე სილაბუსი სახელწოდებით - სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა სასწავლო გეგმაში ჩასმული იყო სხვა სახელწოდებით - სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა.

ორივე პროგრამისათვის სილაბუსები: პროფესორის ასისტენტობა, თემატური სემინარი, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოქვიუმი, სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა შედგენილი იყო ინსტრუქციის სახით. არ იყო ჩაშლილი სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში სემესტრების მიხედვით მოცემული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები; შეფასების კრიტერიუმების ქულები არალოგიკურად იყო განაწილებული, მაგ., შეგროვებული მონაცემების სანდოობა, რომელიც ფასდებოდა 10 ქულით განაწილებული იყო შემდეგი სახით: 0, 3-1, 5-4, 8-6, 10-9. გარდა ამისა, შეგროვებული მონაცემების სანდოობის დასადგენად ფასდებოდა დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები სანდო წყაროდან იყო თუ არა მოძიებული, გამოყენებული იყო კომპეტენტური თუ ნაკლებად კომპეტენტური ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ნაშრომები და ა.შ. აღნიშნულ სილაბუსებში განსაზღვრული სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა სწავლის შედეგების რუკით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. კერძოდ, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოქვიუმი - სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ითვალისწინებდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის უნარებს და ღირებულებებს, ხოლო სილაბუსით დამატებით ცოდნა და გაცნობიერებას და სწავლის უნარს ღირებულებების ნაცვლად; პროფესორის ასისტენტობა - შედეგების რუკის მიხედვით ითვალისწინებდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის უნარებს და ღირებულებებს, სილაბუსით კი დასკვნის უნარი არ იყო მითითებული.

პროფესორის ასისტენტობის სილაბუსის შესახებ გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსი ისეთ კვლევით კომპონენტს გულისხმობდა, რომლის საათობრივი გადანაწილება სადისერტაციო თემის წინასწარ ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო. წარმომადგენლის განმარტებით, ასევე შეუძლებელი იყო ლიტერატურის წინასწარი მითითებაც. შესაბამისად, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ გაითვალისწინა.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ელენე გვენცაძემ აღნიშნულ სილაბუსებთან დაკავშირებით საბჭოს განუცხადა, რომ სილაბუსებში არ ყოფილა იმ თემების ჩამონათვალი, რომელსაც დოქტორანტი სადისერტაციოდ აირჩევდა. საბჭოს წევრი, ნინო სოზაშვილი დაეჭვდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა უფლება თემები არ მიეთითებინა და დოქტორანტს საკუთარი ინტერესით უნდა განესაზღვრა სადისერტაციო თემა. თუმცა, ელენე გვენცაძის აზრით, სილაბუსი არ წარმოადგენდა მკაცრ ინსტრუქციას, ასევე, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით თვლიდა, რომ ასარჩევი თემების ვარიანტები სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსებში ყოველთვის იყო მითითებული.

განხილვაში ჩაერთო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელიც, რომელმაც განაცხადა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სანამ დოქტორანტს სადისერტაციო თემა არ დაუმტკიცდებოდა, შეუძლებელი იყო წინასწარ განსაზღვრულიყო სავალდებულო ლიტერატურა. ასევე, მისივე თქმით, დაწესებულება დოქტორანტს უწესებდა მაღალი ინპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნების მოთხოვნას უწესებდა - წინააღმდეგ შემთხვევაში ხარისხის მინიჭება არ მოხდებოდა.

ელენე გვენცაძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ საუბარი ეხებოდა კოლოკვიუმის და სემინარის თემებს და არა სადისერტაციო ნაშრომს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თემატური სემინარი სადისერტაციო ნაშრომის მომიჯნავე თემას წარმოადგენდა და ასევე შეუძლებელი იყო სადისერტაციო თემის განუსაზღვრელად მისი წინასწარ განსაზღვრა.



საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილი დაინტერესდა, რა განხრებს მოიცავდა პროგრამების ჩამონათვალში მითითებული ტურიზმის პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტურიზმის სტანდარტულ პროგრამას საავიაციო ტურისზმიც დაემატა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები თვითმფრინავის ბილეთების დაჯავშნას და თვითმფრინავში მომსახურებას ისწავლიან და ავიაციას მეტად დაუახლოვდებიან.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ვერ უზრუნველყოფდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აღმწერის მიხედვით: „კომუნიკაციის უნარი – იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა;“ ექსპერტმა ჯგუფი ინტერესდებოდა, რამდენად შესაძლებელი იყო ამ შედეგის მიღწევა თუ საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამებში საფაკულტეტო ზოგადი სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში არ იყო შეთავაზებული ინგლისური ენის სასწავლო კურსი. ექსპერტმა ჯგუფის აზრით ასეთი კურსის გაუთვალისწინებლობა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შედეგების მიღწევას. პროგრამაში კომუნიკაციის უნარში მითითებული იყო: „სპეციალისტთან და არასპეციალისტებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე საკითხის გაგებისათვის განმარტების ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი.... კვალიფიკაციის შესაბამისად იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი“. უცხოენოვან სტუდენტებისთვის ქართული ენა მშობლიური არ იყო, შესაბამისად, დაწესებულება მათ სთავაზობდა ქართული ენის კურსს მხოლოდ პირველ და მეორე სემესტრებში (ელემენტარული დონიდან). ერთობლივად საკონტაქტო საათების რაოდენობა სულ 120 საათი იყო (12 კრედიტიდან), ამ საათების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამაში წარმოდგენილი შედეგების მიღწევას. გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტებიც, რომ: ა) დაწესებულება არ განახორციელებდა ქართული ენის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას; ბ) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა უცხოენოვანი სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის (B1) დამადასტურებელი დოკუმენტები.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები. წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებული იყო სტუდენტთა უფლებების დაცვაზე და მიზნად ისახავდა განათლების უწყვეტ რეჟიმში მიღებას და თუ დადგებოდა პროგრამის გაუქმების საჭიროება, დაწესებულება გააფორმებდა შესაბამის მემორანდუმებს.

ექსპერტის თქმით, ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს ვერ უდასტურდებოდათ ინგლისური ენის ფლობის დონე, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა. ვიზიტის დროს მათ პირად საქმეებში ნანახი იქნა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ მათზე გაცემული ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების ბაზაზე არსებობდა საერთაშორისო ტრეინინგ ცენტრი, სადაც დაწესებულების წარმომადგენლები ენის კურსს გადიოდნენ და კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს იღებდნენ.



ექსპერტმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც გააკეთა შენიშვნა და აღნიშნა, რომ დაწესებულების პირველი კორპუსი სარდაფში იყო და არასათანადოდ იყო განათებული. წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ფართი სპეციალური დანადგარებისთვის იყო გამოყოფილი, რომლებიც ამ პირობებს საჭიროებდა.

გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ ერთერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დასახელებული ძირითადი ლიტერატურის გრაფაში მითითებული იყო მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო ინგლისურ ენაზე. ამ სასწავლო კურსის წინაპირობა ინგლისური ენის შესაბამის ცოდნას არ ითვალისწინებდა. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა მიიღეს განმარტება, რომ ამ კონკრეტული სასწავლო კურსისთვის არ არსებობდა სხვა სახელმძღვანელო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქმე ეხებოდა ავიაკომპანიების მარკეტინგისა და მენეჯმენტის კურსს სამაგისტრო საფეხურზე. მისივე თქმით, სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტი უკვე ფლობდა ინგლისურ ენას B2 დონეზე. რაც შეეხება სახელმძღვანელოს, იგი ერთადერთი იყო სფეროში და აკმაყოფილებდა კიდევ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის განცხადებით, დაწესებულება მესამე სტანდარტს სრულად აკმაყოფილებდა.

საბჭოს სხდომაზე 21:24 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 21:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600 სტუდენტით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206155328) 2015 წლის 29 ივლისიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600-ით.




საბჭომ სხდომაზე განაცხადა, რომ ვინაიდან მსგავსი პროფილის დაწესებულება ერთადერთი იყო საქართველოში, მისი ფუნქციონირებისადმი საჯარო ინტერესიც დიდი იყო. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში საბჭომ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელება და მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შეესწავლა დასკვნაში დაფიქსირებული საკითხების გამოსწორების საკითხები.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება 29 ივლისის შემდეგ ვეღარ შეძლებდა პროფესიული პროგრამების განხორციელებას რადგან ავტორიზაციის მაძიებელს აღარ წარმოუდგენია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21: 51 საათზე.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე



მდივანი
ლიკა ქათამაძე

